ხელშეკრულება №20

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ფოთი. 10 ოქტომბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ირმა ხარშილაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ხალიბი'' (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ი. გორგოშიძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

კნაუფის თაბაშირ-მუყაოს ფილა 25000*1200*12,5 – 30 კვ.მ*3,2667 ლარი=98 ლარი;
კნაუფის თაბაშირ-მუყაოს ნესტგამძლე ფილა 25000*1200*12,5 -15 კვ.მ * 4,6667=70 ლარი.
ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 168 (ასსამოცდრვა) ლარს.
CPV კოდი: 44400000

მუხლი 2. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

2.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით და ზედნადებით ან ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის და ზედნადების ან ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის და ზედნადების ან ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 ნოემბრამდე.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებელი შპს ,,ხალიბი''	შემსყიდველი ს.ს.ი.პ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდის საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ფოთი. სამეგრელოს მოედანი ტელეფონი: საიდენტიფიკაციო კოდი: 415082760 საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი" საბანკო კოდი: **TBCBGE22** ანგარიშსწორების ანგარიში: GE90TB 7062536080100005 ი. გორგოშიძე ---------- დირექტორი	მის: ხობი. ჭალადიდი საიდენტიფიკაციო კოდი 244556226 ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ანგარიში: GE85BG0000000714778700 ტელ:591713777 ირმა ხარშილაძე ---------- დირექტორი

მიღება-ჩაბარება

ხობი 13 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდის საჯარო სკოლის (შემდგომში - შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის ირმა ხარშილაძის სახით, შემდეგში ,, შემსყიდველი " და მეორეს მხრივ შპს ,,ხალიბი'' (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ი. გორგოშიძის სახით ვადასტურებთ, რომ ,,მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა ჩაიბარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კნაუფის თაბაშირ-მუყაოს ფილა 25000*1200*12,5 – 30 კვ.მ*3,2667 ლარი=98 ლარი;

კნაუფის თაბაშირ-მუყაოს ნესტგამძლე ფილა 25000*1200*12,5 -15 კვ.მ * 4,6667=70 ლარი. სულ 168 (ასსამოცდრვა) ლარის ღირებულებით დანართის შესაბამისად.

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	2	3	4	5	6
1	კნაუფის თაბაშირ-მუყაოს ფილა 25000*1200*12,5	კვ.მ	30	3.2667	98.001
2	ნაუფის თაბაშირ-მუყაოს ნესტგამძლე ფილა 25000*1200*12,5	კვ.მ	15	4.6667	70.0005
					168

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს ,,ხალიბი''	სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდის საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ფოთი. სამეგრელოს მოედანი	მისამართი: ხობი. ჭალადიდი
ტელეფონი:	ტელეფონი: 591 71 37 77
ს/ კოდი: 415082760	ს/კოდი: 244 556 226
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი"	ბანკი: სს ,,საქართველოს ბანკი"
საბანკო კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ანგარიში: GE90TB 7062536080100005	ა/ანგარიში: GE85BG0000000714778700
დირექტორი: /ი. გორგოშიძე/	დირექტორი: /ი. ხარშილძე/

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდის საჯარო სკოლა
MUNICIPALITY OF KHOBI, PUBLIC SCHOOL OF VILLAGE CHALADIDI
244556226